ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01180824031**

თარიღი: **23.03.2018**

ადრესატი:
შპს LG კაპიტალი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404908873
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ., N 13

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა თქვენი 2017 წლის 24 იანვრის №1/011702411112-18 განცხადებით წარმოდგენილი, მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის თაობაზე, კერძოდ:

,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი") მე-6 მუხლის, მე-6 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება #17-55") მე-3 თავის, 26-ე მუხლის, პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან, წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ, 2015 წლის 15 აპრილის #12/15086653-25 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილი, მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი, სამსახური თანახმაა მოიჭრას თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #13 ს.კ. #01.10.16.004.172) მდგომი 7 (შვიდი) ძირი დაზიანებული ხე-მცენარე, კერძოდ: 2 ძირი ჭადარი (დიამეტრი 60სმ, 76სმ), 2 ძირი ვერხვი (დიამეტრი 80სმ, 86სმ), 1 ძირი ცაცხვი (დიამეტრი-28სმ), 1 ძირი ფიჭვი (დიამეტრი-48სმ) და 1 ძირი კედარი (დიამეტრი-28სმ) ხე-მცენარე.

მითითებული წესის 26-ე მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

აქვე გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე უნებართვოდ მოიჭრება სხვა ხე-მცენარე, თქვენს მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი